
მზია სურმანიძე
ნინო გოგიტიძე
ნანი ფუტკარაძე

ბათუმის ცხოველთა დაცვის საზოგადოება 1897-1910 წლებში

(საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

შინაურ თუ გარეულ ბინადართა დაცვის პრობლემა ყველა დროის აქტუალური საკითხია. ეს პრობლემა აქტუალური იყო წარსულშიც, რასაც ადასტურებს საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტური მასალები. საარქივო სამმართველოში დაცულია **ჰაიმე მოშეს ძე შმაევსკის** ტიპოგრაფიაში დაბეჭდილი ბროშურა, რომელიც თბილისის **ცხოველთა დამცველი საზოგადოების ბათუმის განყოფილების მოღვაწეობის** 10 წლისთავს ეხება (ასს ცსა, ფ. – 35). ბროშურა შედგენილია განყოფილების თავმჯდომარე **ე. ვ. ტურკინის** მიერ და მასში დაწვრილებითაა მოთხრობილი, თუ რა შრომა გასწია აღნიშნულმა საზოგადოებამ დაარსებიდან 1908 წლამდე.



დოკუმენტის მიხედვით, „1897 წელის მაისში გაიხსნა თბილისის ცხოველთა დაცვის საზოგადოების ბათუმის განყოფილება. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა ბევრი ნათელი და უფრო მეტი მძიმე პერიოდები. დიდი ძალისხმევა და ენერგია დაიხარჯა, რომ გაემარჯვათ გარშემო მყოფთა მხრიდან ინერტულობაზე, გულგრილობასა და საწინააღმდეგო მოქმედებებზე“.

საქალაქო მმართველობის ფონდში დაცული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ დაარსებიდან მალევე, 1898 წლის თებერვალში ბათუმის ცხოველთა დაცვის საზოგადოების მმართველობას თხოვნით მიუმართავს ქალაქის თაის ლუკა ნიკოლოზის ძე ასათიანისათვის. საზოგადოება ითხოვდა 500 კვ. საჟენ მიწის ნაკვეთის გამოყოფას მესამე საპოლიციო უბანში, სასაკლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე მეჯინის-სუსთან. თაობაზე. აღნიშნული ტერიტორია გამოყენებულ უნდა ყოფილიყო, როგორც სამკურნალო დაწესებულება - ამბულატორიის, ასევე მანეჟისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

1902 წლის აპრილში საზოგადოებას გამოეყო 200 კვ. საჟენი მიწის ნაკვეთი პუშკინისა და ასათიანისქუჩების კვეთაში (დღევანდელი თაყაიშვილისა და ზურაბ გორგილაძის ქუჩების კვეთა). გადაწყვეტილებას თან ერთოდა შემდეგი რეზოლუცია: „ბათუმის საქალაქო სათათბიროს 26 ხმოსნის შემადგენლობით მოისმინა და ერთხმად დაადგინა: საქალაქო მმართველობის დასკვნა დამტკიცდეს, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინათ ის გარემოება, რომ ეს ნაკვეთი მანამ იქნება მათ განკარგულებაში, სანამ აღნიშნული საზოგადოება იარსებებდა. გაუქმების შემთხვევაში, თავისი შენობებით უნდა დაბრუნებოდა ქალაქს, უსასყიდლოდ“.

პირველი სამი წელი არც ისე სახარბიელო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. ის შემოიფარგლებოდა მხოლოდ რამოდენიმე ოქმით, სადაც საუბარი იყო უპატრონო ძაღლების დაჭერისა და ცხენებზე ცუდად მოპყრობის საკითხებზე.

საზოგადოების უმთავრესი ამოცანა ცხოველთა სამკურნალო დაწესებულების აშენება იყო. საზოგადოების პირველი მმართველობა მთლიანად გადაერთო ამ საქმეზე. თავმჯდომარეს 200 რუბლიც გაუღია შემოწირულობის სახით, მაგრამ იდეა მაინც ვერ განუხორციელებიათ. სამი წლის შემდეგ აურჩევიათ ახალი მმართველობა. ხელმძღვანელობა დაევალათ ბათუმში მოღვაწე ვეტერინარ ექიმებს. ახალ მმართველობას მართვის, შემოწირულობებისა და ფინანსების თვალსაზრისით დახვდათ მეტად არასახარბიელო მდგომარეობა. საზოგადოების მმართველობამ 1900 წლის ნოემბერში მოიწვია საერთო კრება, რომელზეც განიხილეს საზოგადოების სამომავლო გეგმა. უპირველესი ამოცანა იყო ცხოველთა უფასო სამკურნალო დაწესებულების აშენება. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ნალებისათვის სამჭედლოს მოწყობა, რითაც შემცირდებოდა ცხენების ავადობა. საზოგადოების სურვილი იყო გაეფართოებინით მოღვაწეობის არეალი და არ შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ ბათუმით. ისინი დაინტერესებულ იყვნენ აგრეთვე საუკეთესო ჯიშის პირუტყვის, აფხაზური ცხენების სანაშენე სადგურების მოწყობითა და სხვა საკითხებით.

საზოგადოებასთან არსებობდა მოყვარულთა წრე, რომელიც მასების მოსაზიდად აწყობდა საჯარო კითხვას. საზოგადოების წარმატებულ საქმიანობას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ აღნიშნულ საზოგადოებას ამ დროისათვის არ გააჩნდა შესაფერისი შენობა.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება საკმაოდ აქტიურობდა და აღწევდა კიდეც გარკვეულ წარმატებებს, წინაღობები მაინც არ მთავრდებოდა. სწორედ ამ პრობლემების გადასაჭრელად შეიქმნა განსაკუთრებული კომისია, რომლის წევრებიც 1901 წლის 18 თებერვლის საერთო კრებაზე აირჩიეს. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: ბათუმის ოლქის უფროსი **ა. ი. სლავოჩინსკი,** ქალაქის თავი **ლ. ნ. ასათიანი,** მოადგილე **ი. ა. ივანოვი,** სახელმწიფო ბანკის მმართველი **ვისოცკი,** საზოგადოების თავმჯდომარე **ვ. ლ. ლოპატინი,** ვიცე-თავმჯდომარე **ე. ვ. ტურკინი,** საზოგადოების ხაზინადარი **დ. ლ. ზილბერმეისტერი,** საზოგადოების წევრები ქალბატონი **ზრადლოვსკაია,** კაპიტანი **უსპენსკი**, პორუჩიკი **ნიკოლაევი**.

კომისიის მიზანი იყო აღეძრა შუამდგომლობა ქალაქის სათათბიროს წინაშე საზოგადოებისათვის, სამკურნალო დაწესებულების ასაგებად 200 კვ. საჟენი მიწის გამოყოფის თაობაზე. შუამდგომლობა დასრულდა წარმატებით და საზოგადოებას ასათიანისა და პუშკინის ქუჩების კვეთაში გამოუყვეს აღნიშნული ფართი. სამკურნალო დაწესებულებისათვის წარდგენილ იქნა ორი გეგმა: 15 000 რუბლად შეფასებული, ავტორი- **ნიკოლაევი** და 3000 რუბლად შეფასებული ქალაქის არქიტექტორ **ბენკლიანცის** მიერ შესრულებული. შეთანხმდნენ მეორე ვარიანტზე, რომელიც მიმდინარე 1902 წელს უნდა განხორციელებულიყო. გამომდინარე იქედან, რომ საზოგადოებას ფინანსურად ძალიან უჭირდა, ისინი თხოვნით მიმართავდნენ კონკრეტულ პირებსა და დაწესებულებებს შემოწირულობისათვის. ბროშურაში შეტანილია გულისხმიერი შემომწირველები: სასულიერო პირი **იოანე კრონშტადსკი**, **ს. ი. ილოვაისკი** და ბევრი სხვა.

1903 წლის 15 ნოემბერს მოხერხდა ცხოველთა საავადმყოფოს გახსნა. მას უკვე გააჩნდა საკუთარი შენობა. 1904 წლის 29 თებერვალს მანეჟის შენობაში დაიწყო ფუნქციონირება სახალხო თეატრმა, რომელიც ცხოველთა დამცველი საზოგადოების ბათუმის განყოფილების უშუალო ძალისხმევითა და ენერგიული ხელმძღვანელობით შეიქმნა. წლის განმავლობაში მათ მოახერხეს და მოაწყეს 600 მაყურებელზე გათვლილი დარბაზი - თავისი სცენით. დარბაზი გათვალისწინებული იყო როგორც სახალხო კითხვისათვის, ასევე სპექტაკლებისათვის. საზოგადოების საგანმანათლებლო მღვაწეობა, მათ მიერ დადგმულ მთელ რიგ უფასო სპექტაკლებში გამოიხატებოდა. ამ გზით ისინი იზიდავდნენ ხალხის რიგებიდან გამოსულ მოყვა-

რულ მსახიობებს. მათი მიზანი იყო მაყურებელში ცხოველთა მიმართ მოწყალებისა და თანაგრძნობის გრძნობების გაღვივება. სპექტაკლები იდგმებოდა ყოველ კვირას. უფასო დადგმების წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ სახალხო თეატრის შენობა ვერ იტევდა მაყურებელს.

ადგილობრივი მემატიანე ასეთი სიტყვებით ახასიათებდა საზოგადოების მოღვაწეობას: „ცხოველთა დამცველი საზოგადოების ბათუმის განყოფილებამ ღმერთის მიერ ბოძებული გროშებით შექმნა საკმაოდ ფართო სახალხო თეატრი, რომელიც უკვე დგამდა სპექტაკლებს და აწყობდა საჯარო კითხვას. დარწმუნებული იმაში, რომ სიბნელეზე უნდა გაემარჯვათ, ძალას არ იშურებდნენ მასებისათვის მიეცათ გონივრული გართობის შესაძლებლობა, რაც გამოიხატებოდა სპექტაკლებზე და საჯარო კითხვაზე დასწრებაში. ყოველივე ეს ნამდვილად იყო ამ საზოგადოების დამსახურებაც და უდაო წარმატებაც“.

1905 წელი ბათუმისათვის საკმაოდ რთული და პირქუში აღმოჩნდა. გაჭირდა სპექტაკლების დადგმაც. აბსოლუტურად გასაგები იყო ისიც, რომ წარმატება სახალხო თეატრისთვის მოჰქონდა მოყვარულ-მსახიობთა დაუღალავ შრომას, მათ ენთუზიაზმს. მართალია ისინი არ გამოირჩეოდნენ სასცენო სრულყოფილებით, მაგრამ თეატრს მაყურებელი მაინც არ მოკლებია. ყოველივე ამისათვის მმართველობა უშურველად გამოხატავდა გულწრფელ მადლიერებას.

საზოგადოებამ ვალების შემცირების პარალელურად, დაიწყო ფიქრი საავადმყოფოს გაფართოებასა და ექიმების ბინით უზრუნველყოფის საკითხის მოგვარებისათვის. მოტივი გასაგებია: სასურველი იყო ექიმის მუდმივი ყოფნა საავადმყოფოში. უხელფასოდ კი მუდმივი მორიგეობა იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, თუ მას საავადმყოფოსთან საცხოვრებელს გამოუყოფდნენ.

როგორც ითქვა, სამკურნალო დაწესებულება 1903 წელს გაიხსნა. მას აღმოაჩნდა მთელი რიგი ნაკლოვანებები. იგი არ თბებოდა, არ ჰქონდა საოპერაციო ოთახი, სააბაზანო და სამზარეულო. აღნიშნულის მოწესრიგებისათვის დამატებითი სახსრების მოძიება იყო აუცილებელი. ფასიანი სპექტაკლებიდან შემოსული თანხა, აგრეთვე შემოწირულობა არ იყო საკმარისი. ამიტომაც გადაწყდა მანეჟის შენობა მიექირავებინათ ლაბინსკის კაზაკთა პოლკის ვეტერინარული ლაზარეთისათვის. 1907 წელს საზოგადოებამ საკმაოდ დიდი საჩუქარი მიიღო. განყოფილების მმართველობის წევრმა, ვეტექიმმა **ვასილი ვასილის ძე პოლუმორდვინოვმა საზოგადოებას** 700 რუბლი გადასცა. იმ დროისათვის საზოგადოება ფლობდა ორ შენობას: მანეჟი-არენა, რომლის ღირებულება შეადგენდა 4501 რუბლს და სამკურნალო დაწესებულება, რომელიც დაუჯდათ 5706 რუბლი.

ათწლიანი ფუნქციონირების პერიოდში საზოგადოებამ ქალაქის მმართველობასთან შეთანხმებით არა ერთი საჭირბოროტო საქმე დადებითად გადაწყვიტა: მოეწყო თავშესაფარი მოხეტიალე ძაღლებისთვის, მკაცრად განისაზღვრა სეზონური ნადირობის ვადები, გადაიდგა ნაბიჯები ავადმყოფი ცხენების მკურნალობისათვის. საზოგადოება მოითხოვდა იმ ქუჩების მოკირწყვლას, სადაც დატვირთული ურმების დიდი მოძრაობა იყო (მანთაშევის გადასასვლელი). საქალაქო მმართველობისაგან მოითხოვდნენ აგრეთვე წყლის დასალევისა და ერთდღიანი მოსასვენებელი ადგილის მოწყობას იმ ცხენებისათვის, რომლებსაც სპარსეთის ქვეშევრდომები კვირაში შვიდი დღე ამუშავებდნენ. ამ შემთხვევაში საზოგადოებას საკმაო დახმარება გაუწიეს, როგორც სამხედრო გუბერნატორმა, ასევე სპარსეთის კონსულმა.

განყოფილების თავმჯდომარე **ტურკინის** თქმით, ისეთი სამკურნალო დაწესებულება ცხოველთათვის, როგორიც ბათუმშია, არ იყო რუსეთის ბევრ ცენტრალურ ქალაქში. საზოგადოებამ თავისი დაუღალავი შრომით, ენთუზიაზმით და მიზანდასახულობით თითქმის არაფრისგან შექმნა ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი. საზოგადოებას სჯეროდა, რომ სამომავლოდ კიდევ ბევრი წარმატების მიღწევა შეეძლო. „ საზოგადოებას, მათ მიერ არჩეულ გზაზე, ვუსურვოთ შემდგომი წრმატებები. ეს გზა არის მოსახლეობის კულტურის საზომი, რადგან მხოლოდ კულტურულ ადამი-

ანებს შეუძლიათ იზრუნონ არა მხოლოდ ადამიანებზე, არამედ ცხოველებზეც“, ვკითხულობთ ზემოთდასახელებულ ბროშურაში.

1903 წლის 2 დეკემბერს ბათუმის სამხარეო ვეტექიმად, სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით, დაინიშნა **სტანისლავ კასპერის ძე მურავსკი,** რომელიც რიგის სასწავლო ოლქის, იურიევის ვეტერინალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული იყო. ს. კ. მურავსკი ნებაყოფილობით, პრაქტიკის გასავლელად მოგზაურობდა გუბერნიის ქალაქებში, სადაც რქოსანი პირუტყვის ჭირთან ბრძოლის ღონისძიებებში მონაწილეობდა.

ვეტერინარული ბარათი - ზაქათალის ოლქი, სოფელი კახი. მურავსკი სტანისლავ კასპერის ძე, რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის, პოლონეთის მოქალაქე, დაბადებული 1875 წლის 25 აპრილს, ვეტერინარის დიპლომი აიღო 1899 წლის 21 ივლისს, ჩარიცხულია მებრძოლად, არ აქვს წოდება, მუშაობს ვეტექიმად სოფ. ელისეში. 1899 წლის 20 ივნისიდან არის სახელმწიფო სამსახურში (3 წელი, 10 თვე და 13 დღე), ხელფასი 1500 რუბლი, დაოჯახებული. ჰყავს ერთი შვილი. სტანისლავ მურავსკი იმყოფებოდა კანონიერ ქორწინებაში ბრონისლავა-იოანა პავლეს ასულ კულიკოვსკაიასთან, რომელიც მუშაობდა თბილისის მესამე ქალთა გიმნაზიაში, მასწავლებლად. ოდესის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ბრონისლავა კულიკოვსკაია დაბადებულია 1886 წლის 27 თებერვალს. 1903 წლის 30 აგვისტოს შედგენილ ნამსახურეობის ფურცელში მითითებულია, რომ მურავსკის ქალიშვილი ირენა, დაიბადა 1902 წლის 4 ივლისს.

ნამსახურეობის მოკლე ჩამონათვალიდან ირკვევა, რომ მურავსკი არა ერთხელ იყო წარდგენილი სხვადასხვა წოდებაზე: 1904 წლის 5 თებერვლის წერილიდან, რომელიც ბათუმის სამხედრო გუბერნატორის სახელზეა გაგზავნილი, შსს ვეტერინალური სამმართველო ითხოვს შუამდგომლობას კოლეჟსკი სეკრეტარის (კოლეგიის მდივნის) წოდების მინიჭებას. აქვეა მითითებული, რომ ის უკვე ბათუმის ოლქის სამხარეო ვეტერინარია. 1905 წლის აგვისტოში უნდა წარადგინონ ტიტულოვანი მრჩევლის წოდებაზე. 1909 წლის ნამსახურეობის ფურცელში მითითებულია სამხარეო ვეტექიმად მურავსკის დანიშვნის ზუსტი თარიღი. 1907 წელს იგი წარადგინეს **კოლეჟსკი ასესორის** (სტაჟიანი კოლეგიის წევრი) წოდებაზე. 1910 წლის 15 თებერვალს იგი წარუდგენიათ **„ნადვორნი სოვეტნიკის“** წოდებაზე, რაც ძვ. რუსეთში მე-7 კლასის სახელმწიფო მოხელეს ნიშნავდა.

ოჯახის წევრების ტიფის მძიმე ფორმით დაავადების გამო ს. კ. მურავსკის ბათუმში მოღვაწეობა დაუსრულებია 1910 წელს, როგორც ეს შსს წერილში არის მითითებული (ასს ცსა, ფონდი ი-35; აღწ. 1; საქ. 1, 2)

საქალაქო მმართველობის ფონდში დაცულია აგრეთვე 1907 წლის ადგილის გეგმა, რომელიც დამოწმებული და ხელმოწერილია ბათუმის საქალაქო არქიტექტორის მოვალეობის შემსრულებლის, სამხედრო ინჟინერ, პოლკოვნიკ გოლიცინის მიერ (ასს ცსა, ფონდი ი-6; აღწ. 1; საქ. 183).

Mzia Surmanidze
Nino Gogitidze
Nani Phutkaradze

Batumi Animal Protection Society in 1897-1910
Summary

The problem of protection of domestic and wild inhabitants is an urgent issue of all times. This problem was relevant in the past as well, which is confirmed by the documentary materials kept in the archive department. Jaime Shmaevski's typography has printed a brochure, which refers to the 10th anniversary of the Batumi branch of the Tbilisi Animal Protection Society. The brochure was prepared by the head of the department E. V.

Turkin and it tells in detail what work the mentioned society has done since its establishment until 1908. The article is about these issues.

გამოყენებული წყაროები:

1. ასს ცსა, ფონდი ი-35; აღწ. 1; საქ. 1, 2
2. ასს ცსა, ფონდი ი-6; აღწ. 1; საქ. 183.

თამაზ ფუტკარაძე
ნანი ფუტკარაძე
მარიამ ხინთიბიძე

საქართველო -ჩეხეთის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობები, აკადემიური ცოდნის გაცვლის ტენდენციები და პერსპექტივები

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ეროვნული პოლიტიკის, ეკონომიკის, განათლების სწრაფვამ გლობალიზაციისაკენ. შესაბამისად იზრდება სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებების ხარისხი, იქმნება ერთიანი სამეცნიერო-კულტურული ცენტრები, გლობალური ბაზრები, იზრდება ინტერესი ამ პროცესების მეცნიერული შესწავლისადმი. ყოველივე ეს ხელს უწყობს ერთიან ეკონომიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციული პროცესების გააქტიურებას. ამ შეუქცევად პროცესებს განაპირობებს აგრეთვე ხელისუფლების მიერ სხვადასხვა ქვეყანასთან გაფორმებული ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეთანხმებები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები, რომლებიც აკადემიური ცოდნის ტრანსფერის - გაცვლის ერთგვარ წინაპირობადაც გვევლინება. ამ პროცესებში ჩართული ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარ წარმოებასა თუ განათლების სისტემაზე დამოკიდებული. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ნებისმიერ ქვეყანას ესაჭიროება ცოდნის გაცვლა - იმპორტი და ექსპორტი.

ქართველ ხალხს ოდითგანვე საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაბამისი მაღალგანვითარებული განათლება და კულტურა ჰქონდა, რასაც განაპირობებდა:

1. **ქვეყნის განვითარება საკუთარ საგანმანათლებლო და კულტურულ ტრადიციებზე (ფაზისის რიტორიკული სკოლა, გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიები, მტკვარ-არაქსის, თრიალეთის, კოლხური კულტურა);**
2. ***ძველი აღმოსავლეთის (შუამდინარეთი, სპარსეთი) კულტურულ კერებთან, მოგვიანებით კი ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან სიახლოვე***. ქართული კულტურა ითვისებდა მათი განათლების და კულტურის ელემენტებსაც, რამაც განაპირობა მისი უფრო მაღალკულტურული განვითარება, ვიდრე მის ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხებისა;
3. **გეოგრაფიული მდებარეობა**. საქართველოზე გადიოდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი (დიდი აბრეშუმის) გზები, რაც ხელს უწყობდა იმჟამინდელი მსოფლიოს კულტურული თუ სამეცნიერო ტრადიციების გაცნობას, დასავლური და აღმოსავლური განათლების ელემენტების შერწყმას. ცხადია, კულტურის და მეცნიერების განვითარება უპირატესად ქართულ ტრადიციებს ეყრდნობოდა.

XX-XXI საუკუნეების მიჯნა ახალი ქვეყნების ფორმირებისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებელი განვითარების პერიოდია. სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ხასიათი შესაბამის ასახვას პოულობს მეცნიერებასა და კულტურის განვითარებაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის თვისობრივად ახალი კულტურა და ახალი მეცნიერული ცოდნის ფორმირება, რომელშიც უხვად არის წარმოდგენი-